შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია

SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY OF GEORGIA LTD

N 04/125
05/05/2023

125-04-2-202305051517

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ გიორგი წიკლაურს,

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" მიერ მიმდინარეობს „ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი", რომელიც მოიცავს ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვას, უსაფრთხო გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით. პროექტი ითვალისწინებს, ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობას და მის აღჭურვას ტექნიკური საშუალებებით. აღნიშნული ობიექტი მოემსახურება რეგიონის 5 მუნიციპალიტეტს, კერძოდ წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი. პროექტის ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და საკრედიტო ბანკის (EBRD), შვედეთის საერთაშორსიო განვითარების სააგენტოს (SIDA) და საქართველოს სახელმწიფო კონტრიბუციის დაფინანსებით.

როგორც თქვენთვის ცნობილია ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობა დაგეგმილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში (ს/კ N 84.06.34.048.603; ს/კ: 84.10.38.000.017). საპროექტო ტერიტორიის დიდი ნაწილი (158,000 კვ.მ.) შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" საკუთრებაშია, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს 50,000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიის საკუთრებაში რეგისტრაციის პროცედურები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიის შესწავლის შედეგად, გამოვლინდა რომ, მიუხედავად საკუთრების სტატუსისა, ადგილობრივი მოსახლეობა არსებულ ტერიტორიას იყენებს საძოვრად. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, შეთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებებით, გათვალისწინებულია ადგილოობრივი მოსახლეობისთვის საპროექტო ობიექტთან ახლოს ალტერნატიული საძოვრების ტერიტორიების შეთავაზება.

საქართველო, 0186, ა.პოლიტკოვსკაიას 14, ტელ: (+995 32) 438 830; mail: info@waste.gov.ge

14 A.politkovskaya str, 0186, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 438 830; ს/კ: 404942470

გაცნობებთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოპოვების პროცედურები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებთ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მომართვის შესაბამისად, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა არსებულ ტერიტორიას იყენებს საძოვრად, დაზუსტებას საჭიროებს მოსახლეობის ალტერნატიული საძოვრებით უზრუნველყოფის საკითხი, ალტერნატიული ტერიტორიების მითითებით (საკადასტრო კოდი; GPS კოორდინატები).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ზემოხსენებული მოთხოვნის შესაბამისად, გთხოვთ გვაცნობოთ ადგილობრივი მოსახლეობის ალტერნატიული საძოვრებით დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

პატივისცემით,

გიორგი შუხოშვილი

დირექტორი